ოთხშაბათს, 19 დეკემბ. 1907 წ.

# ისარი

წელიწადი პირველი № 280

გაზეთი «ისარი» ერთის წლით ღირს ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით ტფილისში—75 კაპ. ტფილისს გარედ—80 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 5 საათამდე ღირს 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისათვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან—40 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

ყოველ დღიური გაზეთი

## „ისარი“

მიიღება ხელის-მოწერა 1908 წლისათვის.

გაზეთის ფასი: წლით როგორც ქალაქში, ისე ქალაქს გარედ—7 მანეთი.

ნახევარი წლით „ „ „ —4 მანეთი.

ერთი თვით „ „ „ —90 კაპ.

ქართული წარმოდგენა არტისტიულ საზ. თეატრში

პარასკევს, 21 დეკემბერს 1907 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ორი ახალი პიესა.

ბენეფისი მ. ა. აბაშიძისა

I

**ხელთათმანი**

პიესა 3 მოქ. თხზ. ბიერენსტერნ-ბიერენსტენისა. თარგ. გ. ანანიაშვილისა.

II

**მუქთახორა**

სცენები 1 მოქმედ. ვ. ა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ნ. გაბუნია-ცაგარელისა, ბ. ნებიერიძისა ვ. ჩერქეზიშვილისა, ო. ლეჟავა; ბ-ნნი ზ. ბერიშვილი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. ღუნია, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, ი. ქიქიძე, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, დ. ჩარკვიანი და სხვანი.

დასასრულ **დივერტისმენტი**

მონაწილეობას მიიღებენ: ტ. აბაშიძე, ამალინი (ყიფიანი), ტომაშევიჩი და იმედაშვილი.

ადგილების ფასი საბენეფისოა დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.

ბილეთები ამ თავითვე იყიდება კასსაში.

მორიგე წევრი გამგეობისა მ. გოთუა. რეჟისორი ვ. გუნია.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად წიგნი

**სახალხო კალენდარი 1908 წლის**

შედგენილი და გამოცემული მ. გაჩეჩილაძის მიერ.

კალენდარი შეიცავს 272 გვერდს, საშუალო ზომისას; მოთავსებულია შიგ 25 სხვა და სხვა ნახატი და სურათი. თვეთა რიცხვი და უქმეები, ფოსტა-ტელეგრაფი, სამეურნეო და იურიდიული ცნობები, სამზარეულო, სხვა და სხვა საინტერესო ციფრი და გამოკვლევა, სახუმარო გასართობი და სხვა.

**კალენდარი ყველგან ეღირება 20 კაპეიკი.** ამას გარდა კალენდრის **მყიდველებს მიეცემათ 200 მანეთის საჩუქარი**. ეს საჩუქარი განაწილებულია შემდეგნაირად: 219 მყიდველს კალენდრისას შეხვდება:

| | | | |
|---|---|---|---|
| 50 | მყიდველს | თხზულებანი თ. მჭედლიძისა კალმის მონასმი—თითო | 25 კაპ. |
| 50 | „ | „ ნოე ჟ—ნია, ანარქიზმი . . . . . | 30 კაპ. |
| 50 | „ | „ წერილები საქართველოს შესახებ ისარლოვისა . | 80 კაპ. |
| 5 | „ | „ მთელის წლით გაზეთი «ისარი» | |
| 5 | „ | „ მთელის წლით სასუმარო ჟურნალი „ნიშადური“ | |
| 5 | „ | „ მთელის წლით გაზეთი „წყარო“ | |
| 1 | „ | „ შოთა რუსთაველის დიდი სურათებიანი ვეფხვის ტყაოსანი | |
| 3 | „ | „ მთელის წლით „ეშმაკის მათრახი“ | |
| 50 | „ | „ როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები ძველად. კალრიავსკისა—20 კ. | |

კალენდრის მყიდველებს საჩუქარი შეხვდებათ შემდეგნაირად: 170 კალენდარში ჩადებული იქნება სადარბაზო ბარათი და თვითეულ ბარათზედ აღნიშნული იქნება საჩუქრის რაოდენობა; კალენდარს ოთხივ-კუთხივ ექნება შემოკრული ბანდეროლი; ეს ბანდეროლი ბეჭედ დაკრული იქნება, ასე რომ მყიდველი სანამ ბანდეროლს არ გახსნის და კალენდარს არ გადაშლის, მანამ ვერ გაიგებს—ერგო თუ არა საჩუქარი. ბანდეროლ გახსნილი კალენდარი გაყიდულად ჩაითვლება და იმისი უკან მიღება აღარ შეიძლება. თუ რომელსამე მყიდველს საჩუქარი შეხვდა, შეუძლიან ეს საჩუქარი მიიღოს პროვინციებში ჩვენ აგენტებთან იანვრის 15 რიცხვიდან 1908 წლის დამლევამდე: გორში—არჩუაძესთან, მიხაილოვში—აფ. ებანოიძესთან, ყვირილაში—„სორაპნის“ მაღაზიაში, ქუთაისში—„იმერეთის“ წიგნის მაღაზიაში, სამტრედიასა და ფოთში—ძმ. კობრეიძეებთან, ოზურგეთში—ლლონტთან, ლანჩხუთში—შ. ცინცაძესთან, ბათუმში—ფირცხალაშვილთან, სოხუმში—მგელაძესთან; ტფილისში კი ქართველთა ამხანაგობის კიოსკში მ. ცაგარელთან. კალენდრები კი იყიდება ს. მერკვილაძესთან, „წერა-კითხვის“ საზოგადოებაში, სპ. ჭელიძესთან—ვერაზედ და სხვაგან. (10—6.—2)

ტფილისის სახაზინო თეატრი. ოპერის არტისტთა ამხანაგობა

20 დეკემბერს, ხელმისაწვდენი წარმოდგენა დაკლებულის ფასებით. წარმოდგენილი იქნება

I „ფრა-დიავოლო“ კომ. ოპ. 3 მოქ. მუს. ობერისა.

II ცეკვა ბალ. „შჩელკუნჩიკ“ იდან მუს. ჩაიკოვსკისა.

მონაწ. იღებენ: ქ-ნი სპეშნევა, ტურჩანინოვა; ბ-ნნი აკიმოვი, გავრილოვი, პავლოვსკი, საინოვი, ენგელ-კრონი, იუჩენკოვი.

კაპელმეისტერი: ფელიაშვილი. დასაწყისი 8 საათზე.

**ანონსი**: 21 დეკ. ქალთა მე-2 გიმ. ღარიბ მოს. სასარგებლოდ—«ჯიოკონდა»; 22 დეკ. 25 წლის იუბილეი რეჟის. ბელსკისა. (0—22)

**ძმ. ნიკიტინებ.ს ცირკი.**



19 დეკემბერს, 1907 წელს, ქალთა წარმოდგენა სამ განყოფილებად. მონაწილეობას იღებენ მხოლოდ ქალები. პირველ განყოფილებაში გიმნასტიური ნომრები. მონ. იღებ. ქ-ნნი ტროკაი, ესაულოვა კარდინალი დონატი, როზალი საბოლეული. დებიუტი ბრიუნოს ოჯახისა. მფრინავი ხალხი. კლოუნი ლავროვი, ანტონიო. დასაწყისი 8½ საათზე. კასსა ღიაა 11-დან 2 საათამდე და 5-დან წარმოდგენის გათავებამდე. დაწვრილებით პროგრამებში. მზადდება წარმოსადგენად ფანტასტიური ფეერი. დირექტორი აკიმ ნიკიტინი. (1—513—1)

კბილის ექიმი

**ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12 სახლი მდივნისა. (64)

ყურის, ცხვირის და ყელის ექიმი

**ნ. ა. ატენიანცი**

იღებს ყოველდღე ავადმყოფებს- შუადღის 12—2 ს., საღამოთი 5—7 საათამდე, მიხაილოვის ქუჩა № 114 „ვეტცელის“ სასტუმროს პირდაპირ. (50—385—45)

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა ოლგას ქუჩა, № 25- (0—250)

ქ. ქუთაისში

**ექიმი ჯაფარიძე**

იღებს ყურით, ყელ ით, ცხვირით და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს. ტფილისის ქუჩა, სახლი თ. ნიჟარაძისა. (50—5.—88)

თვალის ექიმი

**ზ. მ. ცხვედაძე**

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 6—7 ს. ვერა ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—475—14)

ექიმი

**გ. ნ. მაგაქიანი**

იღებს ავადმყოფებს შინაგან და ბავშვებისას. სპეციალური ექიმი კუჭის და ნაწლევებისა. მიღება: დილით 12—1 ს., საღამოთი 5—7 ს. მიხეილის პროს. № 36, სახ. ჰავჰანიძისა(25—წლ.

ქუთაისში

კბილის ექიმი

**ს. ი. კერესელიძე**

გადავიდა გეგუთის ქუჩაზე პ. რუხაძის სახლში, (25—ფ.—16)

კბილის ექიმი

**ბალარჯაშვილი მათეშვილი**

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საღ. 4—5 ს. ადრესი: მიხეილის ქუჩა, № 37. (25—518—1)

ქუთაისში

კბილის ექიმი ქალი

**მ. დ. ნასარიძე**

იღებს ავათმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (346)

ექიმი

**მ. ხ. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

ექიმი

**მ. მაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

ექიმი

**ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს

იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათამდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ქ. თელავში

ექიმი

**ნ. გ. მრევლოვი**,

მასწავლებლად ნამყოფი კიევის ქალაქის საავადმყოფო სასწავლებელში და ინტერნად მშობიარეთა სახლში, მიიღებს ავადმყოფთ ყოველ დღე 9—12 საათამდის. ადრესი: ზ. მაჭავარიანის სახლი (ბატონის წყაროზე). (50—413—31)

მამაკაცთა და რენტგენის

**სამკურნალო კაბინეთი**

**მიხეილ გედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (0—487—9)

მეჩექმეთა ამხანაგობა

**„ნდობამ“**

იქონია მსჯელობა მომავალ დღესასწაულებისათვის თითქმის მასალის ფასად გაჰყიდოს დამზადებული ფეხ-საცმელი შევროსი, ხრომისა და შავი საქონელი: ჩექმები, „პოლსაპოჟკები“ ქალისა და კაცისა. ეს სიიაფე გამოიწვია მაღაზიის სივიწროვემ. ვიწვევთ პატივცემულ საზოგადოებას, ისარგებლოს პირველის შემთხვევით. კვირა-უქმე დღეებში ღია გვექნება მთელი დღე. კიროჩნის ქუჩა, № 11, აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების ცოტა ქვემოდ. აგრეთვე ვთხოვთ ყველას, ვისაც კი რა წაუღია ნისიად, დაუბრუნოს ათასნაირ ნაწარმებ ამხანაგობას. წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთით გავაცხადებთ ყველას სახელსა და გვარს.

(3—2) გამგე ამხანაგობისა ს. შერმნიშვილი.

**ტფილისის „სობრანიე“**

ტფილისის „სობრანიეს“ მამასახლისთა საბჭო აუწყებს ბ-ნთ წევრებსა და კანდიდატებს, რომ 20 დეკემბერს 1907 წ. დანიშნულია საზოგადო კრება, რომელმაც უნდა განიხილოს წარსულ კრებაზე დარჩენილი საკითხები, გარდა საკითხის შესახებ სომეხთა განსვენებულ კათალიკოსის სახელზე სტიპენდიის დაარსებისა. ამავე კრებაზე კენჭს უყრიან კლუბის ახალ კანდიდატებს. (3—510—3)

**თამბაქოს ქარხანა**

საქ. საზ. **„მირისა“** ტფილისში.

ურჩევს მუშტარს ახლად გასასყიდად გამოშვებულ პაპიროსებს

**არომატ**

საუკეთესო ხ. რისხის თამბაქოსას.

10 ცალი 5 კაპ. 25 ცალი 15 კაპ.

საქართველო მაღაზია სასახლის ქუჩ. ტელ. № 349. (40—415—22)

**„ტფილისის კრუჟოკის“ დარბაზში**

6 იანვარს 1908 წ. გაიმართება

**ბ ა ლ ი**

ტფ. ქართულ კერძო გიმნაზიის სასარგებლოდ.

შესასვლელ ბარათის ფასი 2 მან. 10 კაპ.

(6—5.—1) პასუხის მგებელი გამგე ქნ. ო. კ. თუმანიშვილისა.

**ქუთაისში**

**სკარლატინისაგან თავის დასაცველი**

(предохронительная) საშუალება

ექიმი ივ. ბოკერია უცრის ჯანმრთელ ბავშვებს სკარლატინ (კისერის) ვაქცინას დილის 10—12 საათამდე. ღარიბებს უფასოდ ქალაქის სამკურნალოში. (3—კვ.—2)

## ტფილისი, 19 დეკემბერი.

საშინელი ქარტეხილი გამოვიარეთ. მას შემდეგ სულ სამი დღეა. „წერა-კითხვის საზოგადოების“ უკანასკნელ კრებაზე მოგახსენებთ. იგი მრავალ მხრივ სანიმუშო და საგულისხმო იყო. ჩვენ გარეშე მაყურებელი არა ვყოფილვართ. კვირას, დილიდან საღამომდე, გაავზნებულ საზოგადოებრივ გრძნობათა შავი ღრუბელი გვაწვებოდა ირგვლივ. იგი ღრუბელი საზოგადოებრივის ავზნეობისა მთელი დღე იზრდებოდა, მთელი დღე ხშირდებოდა და თვალ განუმსჭვალელ ბინდად გადაეფარა ყველის უწინარეს „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიზანს: სახალხო განათლებას. დაიჩრდილა, გაჰქრა კრების აღმაფრენი საგანი და მთელის თავის შიშველ ის საზიზღრებით ურცხვად და ტლანქად გაიშალა ჩვენ თვალ წინ ქართველ ინტელიგენტთა ერთი წრის ბოროტი, უკულტურო, უძლური სული.

სკანდალი..., მაგრამ არა—ეს სკანდალი არა ყოფილა, ეს იყო მწყობრად განზრახული და სამაგალითო ენერგიით აღსრულებული სერია, დაუსრულებელი სერია სკანდალებისა. ბოროტებას ყოველთვის დიდი ენერგია აქვს. რატომ?—იმიტომ რომ ბოროტების ერთად ერთი საპყარი სწორედ ეს ენერგიაა; იმის გარეშე მას სხვა ამხანაგი არ მიაჩნია, არც გონიერება, არც წესიერება, არც საზოგადოებრივი სარგებლობა, არც რაიმე სხვა ღირებულების პატივისცემა. ერთის სიტყვით, არაფერი არ უწყობს ხელს ბოროტების გამარჯვებას. ბოროტებას მხოლოდ თავის ენერგიის იმედი უნდა ჰქონდეს. შეგნებული და განზრახული ბოროტება ყოველთვის უზომო ენერგიას ანვითარებს ღვარძლიან გულში. კვირის კრება სწორედ ასეთი ბოროტი ენერგიის გამოფენა იყო. დათვრნენ, საზიზღრად და სამარცხვინოდ დათვრნენ ამ ენერგიის მზიდავნი; ავზნეობის ეფექტებით აგზნებულთ შხამით და ბალღამით მოსწამლეს კრების დარბაზი... ვიღაცის გაძვალტყავებული მკლავი შემზარავად აბრახუნებს კრების თავმჯდომარის ცხვირ წინ ფიცრის საარჩევნო ყუთს, დაბრინწიანებული ხმები უთავბოლოდ გაჰკივიან, ყველანი ფეხზე დგანან, საითკენღაც მიეშურებიან, არავის არაფერი არ ესმის, შენდება ბაბილონის გოდოლი, დაოსებული ობსტრუქციონისტები ერთმანეთს აქეზებენ და ამხნევებენ.. საზარელი სანახაობა. უგუნურება იჭერს თავმჯდომარის ადგილს და შეუდგრად მიერეკება ბრბოდ ქცეულ საზოგადო კრებას კრივის გასამართავად. „სირცხვილი, სირცხვილი!“ გაისმის აქეთ-იქიდან გულის სიღრმიდან ამონახეთქი სიტყვა...

კრება დაიშალა. ხალხი წავიდ-წამოვიდა, ჩვენც სუფთა ჰაერზე გამოვედით. გულში ათასი გრძნობა დასცურავს, თავში აუარებელი აზრები ტრიალებენ. წამდაუწუმ სდგება ჩვენ თვალწინ კრების სხვა და სხვა მომენტი, ერთი-ერთმანეთზე საინტერესო. რის მაჩვენებელი, რის გამომხატველია კვირის კრება? რამ წარმოშობა ასეთი გაავზნევება? ქართველი საზოგადოებრივი ინდიფერენტიზმი და ასეთი გამწვავებული ვნებათა ღელვა კულტურულ მუშაობის ნიადაგზე!—რა ურთიერთობაა მათ შორის? ასეთ. წრეს გადაცილებული აფორთოვანება და სრული, დიახ სრული უნაყოფობა კრებისა!—რას

მოასწავებს იგი? რატომ წინანდელ კვირის კრებას არაფერი ეტყობოდა ამ გამაგიჟებელ ვნებათა ღელვისა? ეს და მრავალი სხვა საკითხი ისახება ჩვენ წინ. ვიდრე კრების პირველ გამაბრუებელ შთაბეჭდილებას გამოვერკვეოდით, გრძნობა გვქარბობდა, კვირის კრება გამოუცნობელ ამოცანად გვეჩვენებოდა. დღეს მესამე დღეა, პირველი შთაბეჭდილება დავძლიეთ. ეხლა გონება მუშაობს... დეე, იმუშავოს, დეე შიშრად და წარმშეუხრელად გამოარკვიოს ჩვენი საზოგადოების ავი და კარგი...

უკანასკნელის წლების განმავლობაში ყველანი პოლიტიკურმა ბრძოლამ გაგვიტაცა. ჩვენი პატარა ქვეყნის პატარა საზოგადოებრივი ძალები სულ ერთიან შთანთქა პოლიტიკამ. ყველას გადაუვარდა გულიდან, ყველას გადაავიწყდა, რომ პოლიტიკა მხოლოდ ერთ-ერთი ფორმაა საზოგადოებრივ მოღვაწეობისა და რომ ქვეყანა ყრუ უდაბნოდ იქცევა, თუ გარეშე პოლიტიკისა ადამიანის სულის მოძრაობის ყველა სხვა ფორმებს წარეკვეთა საზოგადოებრივი მნიშნელობა. პოლიტიკის სრულუფლებოვანმა ბრძანებლობამ სიკვდილის კარამდე მიიყვანა ყველა ჩვენი კულტურული დაწესებულებანი, იმისმა ბატონობამ დაშრიტა ქართული პოეზიის წყარო, ძირი გამოუთხარა მეცნიერულს ინტერესს. ქვეყანა განსაცდელში ჩავარდა. ტრადიციულმა ქართულმა საზოგადოებრივმა ინდიფერენტიზმმა პოლიტიკის გაბატონებით თავის მომაკვდინებელ გავლენის გამამართლებელ იდეოლოგიას მიაგნო. ცოტა კიდევ და ჩვენი ქვეყანა ორსავე ფეხს სამარეში ჩასდგამდა. ქართველი ხალხის წარმატების სალი მოტრფიალენი თითით ჩამოსათვლელნი შერჩნენ. იმათი საყვირი დიდს ხანს მოიწოდებდა ძალუმის მოწოდებით საქართველოს საზოგადოებრივ ძალებს კულტურულ მუშაობისკენ, მაგრამ ნაყოფი არსად სჩანდა...

ამ მოწოდების პირველი ნაყოფი, პირველი ყვავილი ფართო საზოგადოებამ პირველად კვირის საზოგადო კრებაზე დაინახა. აქ, წერა კითხვის გავრცელების ნიადაგზე პირველად გამოსჩნდა საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე დამოუკიდებელი ჯგუფი კულტურტრეგერებისა ფართო საკულტურო მუშაობის გეგმით. ჯგუფმა თამამად დაიჭირა კვირის კრებაზე ცენტრალური ადგილი და იმის ხელმძღვანელობას თავისუფლად დაემორჩილა კრების დიდი, თვალსაჩინო უმრავლესობა. იდეიური მოწინააღმდეგე ამ ჯგუფს კრებაზე თითქმის სულ არა ჰყოლია. ორიოდე წევრი „წერა-კითხვის საზოგადოებისა", რომელიც ჯგუფის აზრებს არ ეთანხმებოდა, ანგარიშში მისაღებიც კი არ არის. ჯგუფის ზნეობრივ გავლენას დაემორჩილნენ ისინიც კი, ვინც არაფრის წინაშე არასოდეს ქედს არ იხრიან და პირიქით ყველაფერი თავის საკუთარ გეგემონიას ჰსურთ დაუმორჩილონ. დაემორჩილნენ ქართველი სოციალ-დემოკრატებიც. დიახ, დაემორჩილნენ ზნეობრივად, მაგრამ მათ ამ ზნეობრივ გავლენასთან ერთად განიცადეს გრძნობა იმ სიყალბისა, რომელიც მათის აზროვნების ქვაკუთხედს შეადგენს: იგრძნეს, რომ დინჯის კულტურულის მუშაობის ნიადაგზე სოლარის ცხოველ მყოფლობით ირკვევა სრული უკუღმართობა იმ აზრის, ვითომც ერთად ერთი მარილი ქვეყნისა, ერთად ერთი დამცველი მშრომელ ხალხის ინტერესებისა, ერთად ერთი ერთგული დემოკრატი, ერთად ერთი გზა ცხონებისა მართლა ის იყოს, რომელსაც სოციალ დემოკრატია ადგია. დიქტატურის პრინციპიალურმა მოსარჩლეებმა, ქართველ სოციალ-დემოკრატების ინტელიგენტმა ბელადებმა იგრძნეს, რომ დაიწყო მორალური დარღვევა და დანგრევა იმ დიდებისა, რომელიც დასწნეს მათ მდაბიო ხალხის უვიცობის წნელისაგან უშინაარსო ფრაზეოლოგიით. ქართულმა სოციალ-დემოკრატიულმა ინტელიგენციამ განიცადა რეალურ საფრთხის მოახლოვება და სცადა ფრაზების შემწეობით მოეჩვენებინა ფართო საზოგადოებისთვის, ვითომც იგი არ დაჰმორჩილებოდეს დამოუკიდებელ კულტურტრეგერების ჯგუფის ზნეობრივ გავლენას. მოიკრიფეს უკანასკნელი ძალღონე ამ ინტელიგენტებმა და მოჰყვნენ იმის მტკიცებას, რომ ავტონომიური და ფედერატიული მოწყობა სწავლა-განათლების ორგანიზაციისა არ ეწინააღმდეგება მათ პრინციპებს... ზოგმა, ვინც უფრო ნაკლებ არის გაჟღენთილი სოციალ-დემოკრატიულ ინტელიგენციის დოქტრინიორობით, პირდაპირ გაიმეორა ახალი ჯგუფის სახელმძღვანელო საორგანიზაციო პრინციპი, ხოლო ვინც ამ დოქტრინიორობის მსხვერპლად არის უკვე ქცეული, იმათ ორ-აზროვნულად განაცხადეს, რომ წინააღმდეგნი არ იქნებიან ავტონომიის პრინციპი დაედოს საფუძვლად „წერა-კითხვის საზოგადოების" ორგანიზაციას, თუ (?) საჭიროებამ მოითხოვა... ეს უადგილო თავის მართლება იყო. ამან უფრო გააცხოველა სოციალ-დემოკრატიულ ინტელიგენციის გრძნობა, რომ ისინი მალე სასტიკად დამარცხდებიან და მარცხდებიან სწორედ კულტურულ მუშაობის ნიადაგზე. ამ გრძნობამ სწორედ სოციალ-დემოკრატთა ინტელიგენტ ბელადების გულში დაისადგურა პირველად, სწორედ იქ, მათ გულში, მუშაობდა იგი გრძნობა განსაკუთრებითის ძლიერებით. ესაა მიზეზი, რომ სწორედ ინტელიგენტ-ბელადებმა იკისრეს იმ ობსტრუქციის მეთაურობა, რომლის ერთად-ერთი მიზანი იყო დაფარვა მათის ზნეობრივის და იდეიურის სისუსტისა. სოციალ-დემოკრატიულმა ინტელიგენციამ გადასწყვიტა არაფრის გულისათვის არ მიეცა კრებისათვის საშუალება, გარეგნულად გამოეხატნა მას ის ზნეობრივი აღმატებულობა, რომელსაც კულტურტრეგერების ჯგუფი წარმოადგენდა სოციალ დემოკრატებთან შედარებით. გადასწყვიტა და შეუდგა კიდეც გადაწყვეტილების ასრულებას. „ვნახავთ, როგორ ჩამოატარებთ კენჭსა!"—გაისმა ერთ-ერთ სოციალ დემოკრატიულ იდეოლოგის ხმა და გაიმართა ობსტრუქცია, სამარცხვინო და საზარელი ობსტრუქცია,

კვირის კრების პირველი შთაბეჭდილება შემზარავი იყო. ვნებათა ღელვამ ისეთი ღრმა უფსკრული გათხარა, ისეთი უაზრო და უსაგნო ბრძოლა გაჩაღა, რომ კაცს სასოწარკვეთილების შიში დაებადება: ვაი, თუ ამ ბრძოლამ, ამ განხეთქილებამ თავის სასტიკი ტალღებით მთელი ქვეყანა უფსკრულში ჩაიგდოს. მაგრამ ეს მხოლოდ პირველი შთაბეჭდილების დასკვნაა. ჩაუკვირდით კრების მიმდინარეობას, ჩაუფიქრდით ვნებათა ღელვების მიზეზს, დააცქერდით, ვინ იდგა ობსტრუქციის მესვეურების წრეში, რა სწადდათ მათ და მაშინ თქვენ, მკითხველებო, ჩემთან ერთად დაინახავთ, რომ „წერა-კითხვის საზოგადოების" კვირის კრება ის პირველი მერცხალია, რომელიც სოციალ-დემოკრატიულ უაზრო ბატონობის დაუძლურებას მოასწავებს.

# ახალი ამბავი

—:—

✦ **კიდევ ყუმბარის შესახებ** 17 დეკემბერს, ანდრეევის ქუჩაზე, როგორც ვწერდით, რამდენმამე უცნობმა ორი ყუმბარა ესროლა ტფ. პატრიოტულ საზოგადოების წევრს ნიკიფორე პერიშკინს. პერიშკინი დაჭრილა. პერიშკინისთვის ამას წინად სამჯერ უსროლიათ რევოლვერი, სამჯერვე დაუჭრიათ, მაგრამ მსუბუქად. აღნიშნულ დღეს, ნაშუადღევის 4 საათზედ, ავჭალის და ანდრეევის ქუჩის შესართავთან მიდიოდნენ ნიკიფორე პერიშკინი, მისი მცველი ინგუში ალი-შეიხ-ოღლი და პერიშკინის ამხანაგები ლეონტი ბოლტუნოვი და დიმიტრი კომიშინი. როგორც პოლიციის ცნობებიდა სჩანს, ხსენებულ ადგილას ერთ უცნობს რევოლვერი გაუსროლია და ამით ნიშანი მიუცია ამხანაგებისათვის. მათაც ყუმბარა უსროლიათ მიმავალთათვის, მაგრამ იგი არ გამსქდარა. პირველ ყუმბარისთვის მეორე მიუყოლებიათ, რომელიც საშინელის ხმით გასქდარა და რომლის ნატეხებსაც ჩაულეწია არშაკ ოჰანეზოვის ყავახანის კარებები და ფანჯრები. იქვე დაჭრილან 62 წლის მოხუცი პავლე ოლეშკევიჩი, მეეზოვე და ბავშვები ენუქა და მარკოზ გევორქოვები (5—11 წლისან). მძიმედ დაჭრილა აგრეთვე პერიშკინის მცველი ალი შეიხ-ოღლი. თვით პერიშკინი სუსტად დაჭრილა ზურგში; ხელში დაჭრილა სალდათი პრიხოდკო. ხმაურობაზე გაჩენილან პოლიციელები და ჯარის კაცები, რომელნიც მოსდევიან მთელს უბანს. მომხდარა ერთი ალიაქოთი, რომლის დროსაც მოუკლავთ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრები თავ. ონიფანტე ნიკ. ჩიქოვანი. მერე გამოსდევნებიან ავჭალის ქუჩაზე. უცნობი შევარდნილა ერთს სახლში და დამალულა ფეხის-ადგილში. დაუშინეს თოფები და იქვე მოჰკლეს. ამისი ვინაობა ჯერ არ იციან. მოკლულთა გვამები მიხეილის საავადმყოფოში წაიღეს. შემთხვევით იქ მოჰყოლია ტფ. საფერშლო სკოლის მოსწავლე იოსებ ბერიშვილი, რომელიც დაუპატიმრებიათ და ნაცემი საპატიმროში გაუგზავნიათ. ამას გარდა დააპატიმრეს გორის მაზრის მცხოვრები ილია ფ[illegible]დოს ძე მარგიშვილი—ტრამვაის ზეინკალი, რომელსაც პოლიციის ცნობებით, აღმოაჩნდა რევოლვერი, დუშეთის მაზრის მცხოვრები გ[illegible] ფ[illegible]იაშვილი—რკინის გზის სახელოსნოს ზეინკალი, ოზურგეთის მაზრის მცხოვრები მელქისადე[illegible] (18 წ.) რომელსაც აღმოუჩნდა რევოლვერი, პავლე გიორგის ძე [illegible], [illegible] მიცაიშვილი, რომელსაც რამდენიმე ჭრილობა აქვს, და ლაზარე მალიაშვილი, რომელსაც ხელები აქვს დაჭრილი. დაპატიმრებულნი მეტეხის ციხეში გაჰგზავნეს.

✦ **წარმოდგენა-კონცერტის გადადება.** რადგან 21 დეკემბრისთვის დანიშნულია ბენეფისი ვას. აბაშიძისა, ამიტომ **წარმოდგენა კონცერტი „წ. კ. საზოგადოების"** სასარგებლოდ გადატანილ იქმნა ნაშობევისთვის.

✦ **თავდასხმა.** 17 დეკემბერს საღამოთი 6 შეიარაღებული კაცი შევარდა მესაათეს ილია პალატნიკოვის მაღაზიაში (მიხეილის პროსპექტზე) და მუქარით 600 მან. მოითხოვა. უცნობთ გაიტაცეს ფული და ნივთები და მიიმალნენ. ამ დროს უბნის ზედამხედველი პოლიციელებით მიდიოდა ალექსეევის ქუჩაზე. მათ წინ ორმა კაცმა გაირბინა. პოლიციელებმა ესროლეს, დასჭრეს ერთი ზურგში და დააპატიმრეს. ნიკოლოზის ქუჩაზე მეორეც დააპატიმრეს. დაპატიმრებულნი აღმოჩნდნენ ოზურგეთის მცხოვრებნი გიორგი კაპლატაძე და ბესარიონ გოგიჩაშვილი.

✦ **შიმშილი.** გორისა, ახალციხისა, ახალქალაქის და სიღნაღის მაზრებიდან აუარებელი შუამდგომლობა მოსდის გუბერნატორს. თხოულობენ სესხს. ბევრგან პური უკვე შემოჰკლებიათ.

✦ **ახალი შენობა საჯარო წიგნთსაცავისა და მუზეუმისთვის.** მინისტრთა საბჭომ ნება დართო კავკ. ნამესტნიკს გაჰყიდოს კავკასიის მუზეუმისა და საჯარო წიგნთ-საცავის სახლები და ახალი შენობანიააგოს.

✦ **ქალაქის საბჭო.** 17 ოქტომბერს ტფ. საბჭომ მთელი საღამო უმნიშვნელო საქმების განხილვას მოანდომა. კამათი გამოიწვია ქალაქის დამფასებლების არჩევამ. კენჭის ყრით აარჩიეს მერაბოვი და ხმოსანი ბადასაროვ-პუღდანოვი. ხმ. ელიავამ, დიმიდოვმა და ღოლუხანოვებმა განაცხადეს, საბჭომ უსათუოდ უნდა იქონიოს მსჯელობა იმაზე, შეიძლება თუ არა ხმოსნებს ქალაქის თვითმართველობ-

# ფელეტონი

## ორიოდე სიტყვა ფილოსოფიურ მატერიალიზმის შესახებ

(შემდეგი*)

ეკვივალენტურ ურთიერთობის დამყარება ფსიხოლოგიურსა და ფიზიკურ მოვლენათა შორის შეუძლებელია კიდევ იმიტომ, რომ სულიერ მოვლენების გაზომვა ვერა ხერხდება*) მართალია ერთხანად დაიბადა სურვილი ამ გვარ გაზომვისა, რამაც საშინელი მეტაფიზიკური დავა ასტეხა, მაგრამ ცდამ სრულიად უნაყოფოდ ჩაიარა. ვებერ-ფეხნერის ეგრედ წოდებული „ფსიხო-ფიზიკური კანონი სულიერ მოვლენების გასაზომად გამოუსადეგარი აღმოჩნდა. რაში მდგომარეობს ეს კანონი? თვითოეულ გაღიზინებას თანა სდევს გარსაზღვრული შეგრძნება. შეგრძნებასა და მის გამომწვევ მიზეზების შორის განსაზღვრული ურთიერთობა არსებობს. როგორია ეს ურთიერთობა? ამ ურთიერთობის გამოსარკვევად საჭიროა ვიცოდეთ, რასა ნიშნავს, ეგრეთ წოდებული, შეგრძნების აბსოლიუტური საზღვარი. გრძნობათა თვითოეულ ორგანოს განსაზღვრული შეგრძნება აქვს. ეს იმასა ნიშნავს, რომ დგება ისეთი საზღვარი შეგრძნებისა, როდესაც ადამიანის ორგანოს მგრძნობიარობის მომატება აღარ ემჩნევა. რაოდენობა გაღიზინებისა (раздраженія), უკანასკნელი იმათგან, რომელიც გრძნობას ვეღარ იწვევს და პირველი იმათგან, რომელიც იწვევს გრძნობას, არის ის აბსოლიუტური საზღვარი შეგრძნებისა, რომელიც ზევით მოვიხსენიეთ. აბსოლიუტურ საზღვარის რაოდენობა რაც უფრო ნაკლებია, ამა თუ იმ ორგანოს შეგრძნება უფრო მეტია. ლანგლეიმ აღმოაჩინა, რომ, მაგ., თვალის შეგრძნების საზღვარი ამნაირი შეიძლება იყოს: ყველაზე ნაკლები ენერგია შუქისა, რომელიც ადამიანში სათანადო გრძნობას იწვევს, უდრის 1/36 მილიგრამის ძალას, რომელსაც გამოიჩენს იგი, თუ მილიმეტრის 1/1000000 მანძილზე ავწევთ. ენერგია, რომელიც ყველაზე ნაკლებ შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანზე, ვინ. ს გამოკვლევით, 36-ჯერ მეტი აღმოჩნდა. რითი აიხსნება ფაქტი შეგრძნების აბსოლიუტურ საზღვარისა? ჩვენ შეგვიძლიან ავხსნათ ის, როგორც შედეგი გრძნობათა ორგანოების ინერტობისა. ძალიან პატარა გაღიზინება გრძნობათა ორგანოების საბოლოვო აპარატებში მექანიკურ ცვლილებებს ვერ ახდენს.

მეორე უმთავრესი ფაქტი გრძნობათა რაოდენობის შესახებ 1834 წელს პირველად აღმოაჩინა ფიზიოლოგმა ერნსტ-ჰენრიხ ვებერმა. ეს ფაქტია შედარებითი (ОТНОСИТЕЛЬНЫЙ) საზღვარი შეგრძნებისა. რომ ავიღოთ ორი გაღიზინება ად ნელნელა გავადიდოთ ერთი მათგანი, თავდაპირველად შეგრძნება ერთნაირი იქნება, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენ დავინახავთ განსხვავებას, რომელსაც შეიძლება ოდნავ შემჩნეული განსხვავება დაერქვას. ვებერის კანონი მდგომარეობს იმაში, რომ თუ გვინდა ოდნავ შემჩნეული განსხვავებანი გამოვიწვიოთ ხოლმე, სათანადო გაღიზინებანი უნდა იმყოფებოდნენ განსაზღვრულ გეომეტრიულ ურთიერთობაში. მაგალითად, ვიგულისხმოთ, რომ გაღიზინებამ $R=100$ გამოიწვია შეგრძნება. თუ გვინდა, რომ მივიღოთ მეორე შეგრძნება ოდნავ შემჩნეულის განსხვავებით, გაღიზინება უნდა უდრიდეს 110. ამ რიგად, ჩვენ რომ ავიღოთ გაღიზინება 1000, ოდნავ შემჩნეულ შეგრძნებას გამოვიწვევთ იმ შემთხვევაში, თუ გაღიზინება გახდება 1100 და ასე ბოლომდე. ვებერმა სიმძიმე გამოიკვლია და თავის კანონიც ამ გამოკვლევაზე დაამყარა. ამან აღმოაჩინა, რომ წონას უნდა მიემატოს 1/16 თავის რაოდენობისა, რომ შეგრძნებაში ოდნავ შესამჩნევი განსხვავება გამოიწვიოს. თუ საზოგადოდ წონა უდრის X, საჭიროა ამ X მიუმატოთ ერთი მეთექვსმეტედი X-ისა, რომ შეგრძნებაში ოდნავ შესამჩნევი განსხვავება გამოიწვიოს. თვითოეულ შეგრძნებას თავისი საკუთარი განსაზღვრული გეომეტრიული მისამატებელი აქვს. ეს რიცხვები ამნაირია:

| | | |
|---|---|---|
| შეგრძნება | შუქისა . . . . | 1/100 |
| „ | „ ძარღვებისა (мышечныя) | 1/17 |
| „ | „ ხმისა | 1/3 |
| „ | „ თერმიული | 1/3 |

მაგრამ ვებერის კანონი სინამდვილეში მხოლოდ დაახლოვებით მართლდება. მაგალითად, ფსიხოლოგებმა კენიგმა და ბრაუნიმ სამხედველო გრძნობათა შედარებითი შეგრძნება განიხილეს და აღმოაჩინეს, რომ თუ გაღიზინება უდრის 1 ოდნავ შესამჩნევ განსხვავების გამოსაწვევად საჭიროა მიემატოს 1/6 გაღიზინებისა. თუ 20, მაშინ—1/27; თუ 1000—1/57, თუ 2000—1/50, თუ 5000—1/47, თუ 200000—1/26 დაახლოვებითი ერთგვარობას იჩენს ეს რიცხვი საშუალო ზომის გაღიზინებაში, სუსტსა და ძლიერებში კი შესამჩნევად უხვევს

ლეიბციგის პროფესორმა ფეხნერმა ვებერის კანონზე დაამყარა თეორია, რომელიც გვასწავლის, რომ შესაძლებელია შეგრძნებანი გაიზომოს. ამ თეორიამ გამოიწვია დიდი აყალ მაყალი ფსიხოლოგიურ ლიტერატურაში და მეტაფიზიკური დავა, რომელიც დღესაც არ შეწყვეტილა, თუმცა ძალიან კი მისუსტდა და მინელდა.

ფეხნერმა თავის თეორიას საფუძვლად დაუდო ის შემცდარი აზრი, რომ შეგრძნებათა ერთეულად, რომელიც აუცილებლად საჭიროა ყოველ-გვარ ზომვის დროს, უნდა ჩაითვალოს ყოველი ახალი ოდნავ შემჩნეული მიმატება შეგრძნებისა და დარწმუნებულ იქმნას, რომ ყველა ეს ერთეულები ერთნაირები არიან, თუმცა ერთი ზომის ოდნავ შესამჩნევი მიმატებანი შეგრძნების გამოწვევის დროს ერთნაირ შთაბეჭდილებას არ ახდენენ. ასე რომ: თუ S-ით აღვნიშნავთ საზოგადოდ შეგრძნებას, d—ოდნავ შესამჩნევ მიმატებას, ჩვენ მივიღებთ გათანასწორებას $dS=const$ ამასთანავე იცვლება გაღიზინების მიმატებაც, რომელიც იწვევს dS. დავარქვათ მას dR. ფეხნერი მას „განსხვავებით საზღვარს" ეძახის და რადგანაც მისი ურთიერთობა R მუდმივია, ჩვენ ვღებულობთ ფორმულას

$$\frac{dR}{R}=const.$$

რაკი ფეხნერი იმ აზრამდე მიიდა, რომ შეგრძნების რიცხვითი გამოხატულება შეიძლება მივცეთო, აღიარა, რომ დღეის შემდეგ ფსიხოლოგიაც მტკიცე მეცნიერებად გადაიქცა, რადგანაც მათემატიკური ანალიზი შესაძლებელი გახდაო. თავის კანონის ფორმულის გამოყვანის დროს ფეხნერი ამნაირად მსჯელობდა: ავიღოთ ერთი რომელიმე ცნობა შეგრძნებისა და დავარქვათ მას s, მის გამომწვევ გაღიზინებას კი—R. რომ შეგრძნება s გადაიქცეს $s+1$, საჭიროა R მიემატოს მისი ერთი ნაწილი, რომელსაც დავარქმევთ K. მაშასადამე გაღიზინება $s+1$ უნდა იყოს $R+RK$; გამოვიტანოთ R ფრჩხილებს გარეთ, მივიღებთ $R(1+k)$. ავიღოთ შემდეგი მიმატება შეგრძნებათა ოდნობისა $s+2$; მაშინ გაღიზინება იქნება $(R+RK)+(R+RK)$, ე. ი. $R(1+2K+K^2)$ ის, რაც ფრჩხილებშია მოქცეული, არის $(1+K)$ ორ-წევრის კვადრატი; მაშასადამე, შეგრძნება $s+2$ უდრის გაღიზინებას $R(1+K)^2$. რომ ავიღოთ შეგრძნება $s+3$, მივიღებთ სათანადო გაღიზინებას $R(1+K)^3$ და ასე ბოლომდე. ამ რიგად, როდესაც შეგრძნება იზრდება არითმეტიკულად ერთით, გაღიზინება გეომეტრიულ პროგრესით იზრდება. შეგრძნებათა ოდნობა იზრდება, როგორც გაღიზინების ოდნობის მაჩვენებელნი, ან, სხვანაირათ რომა ვსთქვათ, შეგრძნებათა ოდნობები იზრდებიან, როგორც გაღიზინების ოდნობათა ლოგარითმები.

ამისთანა მსჯელობის შემდეგ ფეხნერმა შემდეგი ძირითადი გასაზომი ფორმულა მოგვცა:

$$s=k\log\frac{R}{r}$$

სადაც s ნიშნავს შეგრძნებათა ოდნობას, R სათანადო გაღიზინებას, r იმ გრძნობის აბსოლიუტურ საზღვარის ოდნობას, რომელსაც ვზომავთ და k—ერთს **მუდმივს**, რომელიც ცდით უნდა გამოირკვეს და რომელიც შედარებითი საზღვარს უდრის. თუ r-ს ერთად ვაღიარებთ, ფორმულა უფრო მარტივ სახეს მიიღებს. ის გამოიხატება ამნაირად:

$$s=k\log R.$$

ვებერ ფეხნერის კანონზე ამდენს [illegible] იმიტომ შევჩერდი, რომ მკითხველისთვის ნათლად იყოს გამორკვეული, რაშიაც მდგომარეობს იგი. თუ მკითხველი ნათლად ჩაუკვირდება იმას, რასაც ვებერ-ფეხნერის კანონის შესახებ ითქვა, თითონვე კარგა დაინახავს, რაშიაცა მდგომარეობს მისი სიყალბე.

ფეხნერის ფსიხო-ფიზიკურმა ფორმულამ ვერავითარი ნაყოფი ვერ გამოიღო, რადგანაც თითონ საფუძველი, რომელზედაც აშენებულია იგი, ყალბია. როგორც ზევით ითქვა ვთქვით, ფეხნერი დარწმუნებული იყო, რომ თითოეული ძლიერი შეგნება შემდგარია პატარ-პატარა შეგრძნებებისაგან. მაგრამ ფეხნერის ასეთი შეხედულება თანამედროვე ფსიხოლოგიისაგან უკვე უარყოფილია. ისეთი ფსიხოლოგები, როგორიც არიან, მაგალითად, ჯემსი, გერინგი, ბრენტანო და სხვა, გადაჭრით აღიარებენ, რომ ერთი შეგრძნება მეორისაგან თვისებით განსხვავდება, და არა რაოდენობით. დიდი ხმა, მაგალითად, წარმოადგენს

*) იხ. „ისარი" № 278.

*) ყოველთვის, როდესაც მოინდომებენ ხოლმე იმის დამტკიცებას, რომ მატერიალური პროცესები შეიძლება სულიერ პროცესებად გადაიქცესო, ამტკიცებენ იმასაც, რომ, მსგავსად მატერიალურ პროცესებისა, სულიერი პროცესებიც შეიძლება გაიზომოსო. სწორედ ასევე იქცევა ბოგდანოვიც, რომელიც ნათლად ხედავს სრულს შეუძლებლობას სულიერ პროცესების გაზომვისას, მაგრამ მაინც ამტკიცებს, თუ დაწვრილებით არა, დაახლოვებით მაინც შეგვიძლიან გავზომოთ სულიერი ენერგიებიო. იხილე ამის შესახებ მისი „ემპირიომონიზმი". ა. ჯ.

ბაში რაიმე ჯამაგირიანი ადგილი მიეცეთო. ამ საკითხის განხილვა სხვა დროისათვის გადაიდო. საბჭომ უარჰყო გამგეობის დადგენილება ყორღანოვის მამულის შეძენის შესახებ სასკოლო შენობისათვის. დასასრულ დაადგინა, როდესაც მორიგ კრებაზე ვერ მოასწრებენ განსახილველად დანიშნულ საქმეების დამთავრებას, ყოველ დღე დანიშნოს კრებები.

✦ **ჯაშის განთავისუფლება.** ილია ჭავჭავაძის მოკვლის შემდეგ დუშეთის ადმინისტრაციამ დააპატიმრა, სხვათა შორის, მოურავი დიმიტრი ჯაში და ტფ. სამხედრო გენერალ-გუბერნატორს გადასცა. გამომძიებელმა და პროკურორის ამხანაგმა საქმის გამოძიებასა და მის პასუხის გებაში მიცემაზე უარი განაცხადეს. ამიტომ დიმ. ჯაში, ტფ გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, 16 დეკემბერს მეტეხის ციხიდან გაანთავისუფლეს და იმის შესახებ საქმე მოისპო.

✦ ალ. მირიანაშვილის-მიერ შედგენილი ართული წერის დედანი მოიწონა მზრუნველის საბჭომ, რომელიც დაარსებულია კავკასიის სამოსწავლო ოლქის სამმართველოში, და ნება დართო იხმარებოდეს ყველა იმ სასწავლებელში, სადაც ქართულ ენას ასწავლიან.

✦ ახალქალაქის მაზრის ბოგდანოვის ნაწილის ბოქაული სულხანიშვილი საგუბერნიო მთავრობას თანამდებობიდან გადაუყენებია.

✦ ტფ. პოლიცმეისტერმა უბრძანა პოლიციას მეტის მხნეობით იმოქმედონ მცარცველებისა და ქურდების წინააღმდეგ, რადგან დღესასწაულებში, აუარებელი მცარცველობა და ყაჩაღობა მოსალოდნელია.

✦ საღამოს 9 საათზედ 17 დეკემბერს ტერტეროვის ტრაქტირში პოლიციამ დააპატიმრა აკოფ დანიელოვი, რომელსაც ჩხუბი მოუვიდა ერთს ტრაქტირში მყოფთან. დანიელოვი არხანგელსკის გუბერნიაში ყოფილა გადასახლებული და გამოქცეულა.

✦ 17 დეკემბერს ლერმონტოვის ქუჩაზე საკანდიტეროში ბებუთით ორგან დასჭრეს ვაჭარი ქრისტეფორე ანიევი. ანიევი დაუჭრია საკანდიტეროში მოსამსახურეს სიმონ სარქისიანცს, რომელიც მიიმალა.

✦ ამ დღეებში დაპატიმრებული ქალაქის წყლის მილის კონტროლერი იოსებ ბესელიძე მეტეხის ციხიდან გაანთავისუფლეს.

✦ 17 დეკემბერს ტფ მოქალაქეს პეტრე თავდორაძეს სახელოსნოდან მოჰპარეს 400 მან.

✦ ბორჩალოს მაზრის თრიალეთის ნაწილის ბოქაული ტერ-გრიგოროვი სამსახურიდან გადაუყენებიათ.

## ქუთაისის ქრონიკა

✦ 16 დეკემბერს, საღამოს პირად, ქალაქის თეატრის პირდაპირ, მძიმედ დასჭრეს თოფურიძისეულ საავადმყოფოს პატრონი ექიმი ვიქტორ ბაქრაძე. ბაქრაძეს ორი ჭრილობა აქვს რევოლვერის ტყვიისა—ხელსა და ბეჭში. ჭრილობა ამ სტრიქონების წერის დროს გამორკვეული არ არის, მაგრამ როგორც ექიმი რადზევიჩი ამბობს, საშიში არ არისო. მიზეზი ბაქრაძის დაჭრისა ჯერ არ არის გამორკვეული. თეატრის მახლობლად ბაქრაძის დაჭრამ თავისი გავლენა იქონია ქართული წარმოდგენაზე და მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენაში ქნ ნ. ჩხეიძე იღებდა მონაწილეობას, შემოსავალი 100 მანეთზე ცოტა მეტი იყო.

✦ შაბათს საღამოს ლევაშოვის ქუჩის შესახვევში, როცა ვაჭარი სარქისიანი თავის მაღაზიიდან სახლში მიდიოდა, თავს დაესხნენ და ცემის შემდეგ წაართვეს რაც ზედ ფული ჰქონდა, დაახლოვებით 150 მანეთი.

✦ საგლეხო საკრებულოს წევრი ბიბიკოვი სოხუმში იყო გაგზავნილი ადგილობრივ პოლიცმეისტრის ნაბიჯევოვისა და ბოქაულის ბალაბანოვის მოქმედების გამოსარკვევად. ბიბიკოვის მოხსენების შემდეგ ერთიც და მეორეც სამსახურიდან გადააყენეს. სოხუმის პოლიცმეისტრად ნიშნავენ კროტკოვს.

✦ სენაკისა და ზუგდიდის მომრიგებელ შუამავალთაგან გუბერნატორს მისვლია ცნობები მიმდინარე წლის მოსავლის შესახებ. რამდენადაც ჩვენ გავიგეთ, ეს ცნობები ერთ ხმად აღიარებენ, რომ ხალხს საკვები აკლია და დახმარება ეჭირვებათ. ზუგდიდის მაზრის ცნობებით, წრევანდელ მოსავლის სიმინდი, გარდა იმისა, რომ ხალხს გაზაფხულამდის არ ეყოფა, იმდენად უვარგისია თურმე, რომ სათესლედაც-კი არ გამოდგება. გუბერნატორი ეხლა შეეკითხებია სხვა მაზრების ადმინისტრაციას და მომრიგებელ შუამავლებს მოსავლის შესახებ. როცა საკმაო ცნობები შეიკრიბება, განზრახვა აქვს თურმე, ნამესტნიკს აცნობოს საქმის ვითარება.

✦ 16 დეკემბერს შესდგა ვაჭართა კრება პოლიციის რიცხვის გასაძლიერებლად, თანახმად გუბერნატორის მოწერილობისა. ამ ჟამად ქალაქი ინახავს 57 პოლიციელს. პოლიციის რიცხვი რომ 100 კაცამდის ავიდეს, ზედ მეტ 43 პოლიციელის შენახვა წლიურად დაჯდება 21 ათას მანეთად. ამ ფულის ერთ ნაწილს მომავლის წლის პირველ ნახევარისას კისრულობს ვაჭრობა, ხოლო მეორე ნახევარისას—ქალაქი. ვაჭრებმა თანხმობა განაცხადეს გადაიხადონ 6000 მანეთი მომავლის წლის პირველ ნახევრის ხარჯი. ამ ფულის ვაჭართა შორის გასანაწილებლად აირჩიეს ვ. ჰილაძის თავმჯდომარეობით კომისია 20 კაცისაგან. ამავე კრებაზე ვაჭრებმა შუამდგომლობა აღძრეს გუბერნატორის წინაშე, რომ აბშილავას მკვლელობის გამო დაჯარიმებული ვაჭრები გაანთავისუფლონ სასჯელისაგან.

✦ რეალურ სასწავლებლის მეხუთე, მეოთხე და მეექვსე კლასების მოსწავლენი მათის ამხანაგის კოპალეიშვილის დაჭერისა და იმის გამო, რომ გუბერნატორის განკარგულებით მოსწავლეთ აღკრძალული აქვთ საღამოს 6 საათის შემდეგ სახლიდან გარეთ გამოსვლა, აღარა სწავლობენ. 15 ნოემბერს დაატუსაღეს ოთხი მოსწავლე რეალურ სასწავლებლისა.

## პროვინციის ცხოვრება

**ფოთი.** თუმცა ყოველის მხრიდან ისმის ავადმყოფობის გავრცელების ამბავი, მაგრამ არა მგონია ყვავილი და ყელის-ჭირვება (სკარლატინა) ისე მძვინვარებდეს სადმე, როგორც ფოთში. ქალაქის გამგეობამ თავისი სამკურნალო იჯარით გასცა. მოიჯარადრეებმა სამკურნალოს შეკეთება მოითხოვეს, ამიტომ ავადმყოფების მიღება შეუძლებელი გახდა. თვითმმართველობამ ერთი ოთახი გამგეობის დარბაზისა ექიმებს დაუთმო ავადმყოფების მოსათავსებლად. ამასთან გამგეობამ განცხადება გააკრა მთელ ქალაქში მცხოვრებთა საყურადღებოდ, მობრძანებულიყვნენ გამგეობის დარბაზში ყვავილის უფასოდ ასაცრელად როგორც გაიგეს ეს მცხოვრებლებმა, განურჩევლად ვინ რითი იყო ავად, გამგეობის დარბაზს მიაწყდნენ. ამ მიზეზისა გამო გამგეობის მოსამსახურეებმა ქალაქის თავის მოადგილეს მიმართეს, რომ რამე სხვა საშუალება ეხმარა, რადგან გადამდებ სენით ავადმყოფები ხშირად მოდიან გამგეობაში. 11 დეკემბერს განცხადება გააკრეს: „სანამ ქალაქის სამკურნალო არ დამთავრდება, ავადმყოფების მიღება აღკრძალულია, როგორც გამგეობაში, ისე სამკურნალოში. მცხოვრებთ შეუძლიანთ კერძოდ მიიქცნენ ექიმებთან მათ ბინაზე“.

7 დეკემბერს დღისით ლევაშოვის ქუჩაზე ამბაკო ჩაკეტაძე, რომელიც თევზით ვაჭრობს, დუქანში შეუვარდა რევოლვერით შეიარაღებული ჯარის კაცის ტანისამოსში გამოწყობილი კაცი და ასი მანეთი წაართვა. ხალხი დაედევნა, მაგრამ ხელი ვერ მოჰკიდა, რადგან ყველა უიარაღო იყო. იმ დამესვე დააპატიმრეს იგი, და აღმოჩნდა რუსი, რომელიც რუსეთს გამოქცევია და აქ ნდომების მანტაჟისტობით ცხოვრება ფული ერთი გროშიც ვერ უნახეს. საზოგადოდ ფოთში გახშირდა თავდასხმა და ტაცობა.

**მეღვარი.**

—

**თელავი** თელავის წიგნთ-საცავი, რომელიც 15 წელიწადზე მეტია არსებობს და ამ ხნის განმავლობაში თავის დანიშნულებას ცოტად თუ ბევრად ამართლებდა, უსახსრობისა გამო დაიკეტა მართალია ოფიციალურად იგი დაკეტილად არ ითვლება, მაგრამ ფაქტიურად კი დიდი ხანია მოსპო მოქმედება. შარშან ცეცხლმა იმსხვერპლა წიგნთ საცავის მთელი ავლა-დიდება. ეხლა აღარავინ ფიქრობს ამ წიგნთ საცავის განახლებაზე. არც საწევრო გადასახადს იმლევიან და არც სადამოს გამართვისთვის ზრუნავენ. სამაგიეროდ, ბანქო-ლოტოში ფულს არა ზოგავენ.

4 დეკემბერს, საღამოს 9 საათზე, ცეცხლი გაუჩნდა მათიკაშვილის ორ სართულიან შენობას და სულ გადაიბუგა. ისეთ მჭიდროდ დასახლებულ უბანში დაიწო ეს სახლები, რომ ადვილი შესაძლებელი იყო მთელ უბანს მოსდებოდა, მაგრამ ხალხის და ჯარის დახმარებით ცეცხლი ჩააქრეს, თუმცა მეზობელი სახლები მაინცვე დასცალეს. ზოგს ბევრი ბარგიც დაეკარგა ღამის რაინდების წყალობით. ამოდენა ქალაქია და ერთი ხეირიანი ცეცხლის ჩასაქრობი მანქანა-კი არა აქვს. ქალაქს ფული არა აქვსო, იტყვიან. საქმე ასე უნდა მოეწყოს: ერთ კარგ მანქანის ფასი ადვილად შეიკრიბება მოქალაქეთა და გლეხთა შორის; ეს მანქანა უნდა ინახებოდეს შუა ქალაქში. რაც შეეხება წყალს, მებოჭკეებს უნდა დაევალოთ ღამ ღამეობით ორ-ორი ბოჭკა წყალი მორიგეობით მანქანასთან დასტოვონ, რამისაც თუ სასყიდელი ვერ მიეცემათ, მათი ცხენები უნდა განთავისუფლდნენ ქალაქის გარდასახადისაგან. ამნაირად ქალაქის გამგეობას არც ფული დაეხარჯება და ეს საქმე თუ ბევრად არა ცოტათი მაინც მოეწყობა. მხოლოდ საჭიროა მოთავეობა, რაც ქალაქის გამგეობამ უნდა იკისროს, რომლის პირდაპირ მოვალეობასაც შეადგენს.

8 დეკემბერს თელავ შალაურის შუა საზიზღარი მკვლელობა მოხდა. ამ საღამოს თელავიდან თავის სახლში მიდიოდა შალაურელი ახალგაზრდა გლეხი წიგნაძე. გზაზე დახვედრიან და რევოლვერით მოუკლავთ. როგორც გადმოგვცეს, მოკლულის ბიძაშვილი ქალი უთხოვნია ერთ კაცს. ქალი არ მიუციათ და სხვაზე გაუთხოვებიათ, რისთვისაც მატარძლის ძმას დამუქრებიან და ორ დეკემბერს სისრულეში მოუყვანიათ კიდეც ეს მუქარა. მხოლოდ მოუკლავთ ქალის ძმა კი არა, იმის ბიძაშვილი, რომელიც თავის ნათესავს ჰგვანდა.

ოქტომბრის გასულს ტფილისიდან ჩამოვიდა კავკასიის მეორე მსროლელთა ბატალიონი, რომელმაც ერთი თვე დაჰყო თელავში და ისევ უკან დაბრუნდა. ამათ ნაცვლად ერთი ასეული ყაზახი უნდა ჩამოვიდესო.

ამ ბოლო დროს მშვენიერი ამინდი იდგა, თბილოდა კიდეც. 7 დეკემბერს ტაროსი შეიცვალა, თოვლი მოვიდა, რასაც სიცივე და ყინვა მოჰყვა.

**დავიწყებული.**

## მუშების ცხოვრება

**ქუთაისის სადგურის მუშები** (წერილი რედაქციის მიმართ). ნება გვიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით პასუხი გავცეთ «წყაროს» მე-25 №მერში მოთავსებულ წერილის ავტორს. რადგან ბ-ნ ისევ ისა ვარის წერილი სიმართლეს მოკლებულია ჩვენს შესახებ (ქუთაისის სადგურის მუშები), ჩვენა გვსურს ვუპასუხოთ შემდეგი: 1. ჩვენ, ქუთაისის სადგურის მუშები, წელიწადზე მეტია ვმუშაობთ ქუთაისის სადგურზე. ასე რომ აქამდის საჩივარი არავის განუცხადებია ჩვენს «უწესო მოქმედებაზე», რადგან ჩვენ ფუთზე 1—2 კაპ. ვიღებთ ბარგის პატრონებისაგან [illegible] და არა 10—30 კაპ.; [illegible] „წყაროს“ მოამბე [illegible] არც ერთ ადგილას [illegible] აქვს „ბაგაჟის» განყოფილებაში ან სხვაგან შევიდეს და თავისი ბარგი «თვითონ აწონოს და თვითონვე წაიღოს», რადგან ამისათვის ყველგან «ვესოვშჩიკები» და მუშები არიან. ყველას რომ ნება ჰქონდეს თავისი ბარგი თვითონ აწონოს წაიღოს, მაშინ ხომ მუშებიც აღარ იქნებიან საჭირონი; 3. მართალია, ოკრიბელებმა ჩამოიტანეს „გამზადებული ფანჯრის ჩარჩოები და კარებები“, მაგრამ რადგან თვითონ ვერ მოერივნენ, მათისავე თხოვნით ჩვენ გადავზიდეთ, ოკრიბელებს კი ხელფასის მიცემა დაეზარათ. ჩვენ ჩვენი შრომის ფასსა ვთხოულობდით, რაზედაც «იმოშტიკრიჯოთ» შევთანხმდით. აგრეთვე არავის ლანძღვა-გინებით არ გავმასპინძლებივართ და არ ვიცით, რატომ დასჭირდა ამაების წერა ბ-ნ კორესპონდენტს!! 4. ბ-ნ ისევ ისა ვარ ამბობს: «მე ჩემი თვალითა ვნახე, რომ ერთმა კაცმა გასაგზავნი საქონელი მოიტანა. დროგიდან თვითონ ჩამოიღო, წონით 24 ფუთი იყო. მუშებს 12 კაპ. ერგებოდათ, იმათ კი მანათი ითხოვესო». ესეც არ არის მართალი, რადგან ავტორის მიერ დასახელებული საქონელი ერთად იყო შეკრული—24 ფ. მუშებს ეგერგებოდა 48 კაპ. და არა 12 კაპ. მაგრამ საქმე ამაში კი არ არის, ლაპარაკი შესდგა სიმძიმეზე, წონაზე და არა ხელფასზე. ავტორი ამბობს; „ნახევარი თვითონ შეზიდაო“. საქონელი ერთად იყო შეკრული და ნახევარს როგორ შეზიდავდა პატრონი, ეს ღმერთმა უწყის, არ ვიცით რა ალაპარაკებს ბ-ნ კორესპონდენტს, სიმართლე თუ... ჩვენი დამცირება, რადგან ახლა ვადა გაგვიდის და სხვები კი მუქთად იმუშავებენ (ავტორის აზრით). თუ დაგვიჯერებს ბ-ნი კორესპონდენტი, იმაზე ნაკლებად არ ვიცით—სად და რომელ სადგურზე რა ფასებში მუშაობენ, მაგრამ, რა გაეწყობა, ხშირად რამდენიც ენებოთ. იქნება ჩვენს წინამღადგილეებს და ახალ მოცილეებს გული მოუგონ...

საერთოდ ამხანაგების მინდობილებით: **აკოფ კირვალიძე, ონისიმე გელდიაშვილი, სერგეი მეცამე, გიორგი ხომასურიძე, ნიკო თათარაძე.**

## წერილი იურიევიდან

გაზეთ „წყარო“-ში პატარა წერილი იყო მოთავსებული იურიევიდან, რომელზედაც „ისარმა“ შენიშვნა დაბეჭდა, ამასთან დაინტერესებულმა რედაქციამ მოგვმართა აქაურ ქართველებს, შევატყობინოთ რამე, რამ გააშფოთა „წყაროს“ კორესპონდენტიო. მე, როგორც იმ დროის მოწმე, რომელსაც კარგად ახსოვს ძველ ქართულ წრის ცხოვრება და აგრეთვე მახლობელი მოწამე ამ დროისა, შემიძლიან ნათელი მოვფინო ამ გარემოებას.

დიახ, წინად ქ. იურიევში არსებობდა ქართული წრე, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენის სტუდენტობისადმი. შარშან წრის რამდენსამე წევრს აღარ მოეწონა ქართული წრე და მისი დანგრევა და სიკვდილი მოინდომა. ქართულ წრეს მოტრფიალენიცა ჰყავდა, რომელნიც მტკიცედ ადგნენ იმ გზას, რომ ქართული წრე უნდა დარჩესო, წრემ უნდა იცოცხლოსო. ამან გამოიწვია დიდი აურ-ზაური და სტუდენტობის დანაწილება. პატარა ნაწილი იერიშით მოდიოდა, ხელში ქართულის წრის დანგრევის დროშა ეჭირა და იმის ნანგრევებზედ კავკასიურ საზოგადოების აშენებას ცდილობდა. მეორე ნაწილი ქართულის წრის მომხრე იყო. ამასთან სულით და გულით კავკასიურ საზოგადოების დაარსებას ხელს უწყობდა. ქართულის წრის მომხრენი დამშვიდებულნი იყვნენ, იმათ კარგად იცოდნენ, რომ რომელისამე საზოგადოების დანგრევა-სიკვდილი შეუძლიან გადასწყვიტოს მთელი წევრების ორმა მესამედმა, და რადგან ისინი შესამჩნევ ძალას წარმოადგენდნენ, წრის სიცოცხლე იმათთვის ჭეშმარიტება იყო. ისინი სულ არ მოელოდნენ, რომ პატარა მოწინააღმდეგე ჯგუფი ძალდატანების გზას დაადგებოდა. მათი მოლოდინი არ გამართლდა.

მოწინააღმდეგეებმა შეჰკრიფეს რამდენიმე თავიანთი მოაზრე და ძალდატანებით გადაანათლეს ქართული წრე და დაარქვეს „კავკასიური საზოგადოება“. ამ დროს წესდების არც ერთის მუხლით არ ისარგებლეს, პირიქით, წესდებას გადაუხვიეს. რასაკვირველია, ქართულის წრის დამცველებმა ამისთანა მონათვლა არ იცა-

---

ერის მთლიანს, დამოუკიდებელ ფსიხოლოგიურ მოვლენას, და არა პატარ-პატარა ხმების ჯამს. „ძლიერი გრძნობა,—ამბობს მიუნტერბერგი,—სუსტს გრძნობებისაგან კი არ შესდგება, არამედ იგი რაღაც სრულიად ახალია, სხვებთან მისი შედარება შეუძლებელია; ასე რომ ხმების, სინათლის და თეურმიულ შეგრძნებათა სიძლიერისა და სისუსტის გასაზომ სხვა და სხვაობის ძებნა ისეთივე უაზროდ ეჩვენება ადამიანს, როგორც მათემატიკურ განსხვავების ძებნა მლაშესა და მჟავეს შორის, ან თავის ტკივილისა და კბილის ტკივილს შორის“.

**არ შეიძლება აგრეთვე ვაღიაროთ, რომ ყველა ოდნავ შესამჩნევი მიმატებანი შეგრძნებისა ერთი ზომისანი არიან.** ფეხნერის კანონის სიყალბეც სწორეთ ამაში გამოიხატება. უეჭველია ყველა თქვენგანს ყოველ-დღიურ ცხოვრებაში გამოუცდია, რომ 1/3 გირვანქის მიმატება ერთს გირვანქაზე სხვანაირ შეგრძნებას იწვევს, ვიდრე 1/3 ფუთისა ერთს ფუთზე. ფეხნერმა არავითარი ყურადღება არ მიაქცია ამ გარემოებას, თავის თეორიისთვის ყალბი ნიადაგი აირჩია და ამიტომ თითონ თეორიაც ყალბი გამოდგა. ერთად ერთი ღირსება ფეხნერის წიგნისა მდგომარეობს იმაში, რომ ის წარმოგვიდგინა ექსპერიმენტალური დამტკიცება ვებერის კანონისა, რომელიც მხოლოდ ოდნავ შესამჩნევ განსხვავებას იხილავს და არა მთელ შეგრძნების გაზომვას.

ამ რიგათ, ჩვენ დავინახეთ, რომ შეგრძნებათა გაზომვა ყოვლად შეუძლებელია. ჩვენ დავინახეთ, რომ ოდნავ შესამჩნევი მომატებანი შეგრძნებაში ერთეულად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან იგინი ერთი ზომისანი არ არის. უამისოდ კი, თუ გასაზომი ერთეული არა გვაქვს, შეგრძნებათა მათემატიკურ გაზომვაზე ლაპარაკიც კი მეტია.

საზოგადოთ ურთი-ერთობას სულსა და ხორცს შორის მატერიალისტური ახსნა ვერ აკმაყოფილებს სწორეთ ისევე, როგორც ვერ აკმაყოფილებს სპირიტუალისტური ახსნა. ფსიხოლოგიურმა მეცნიერებამ უკვე გადაიარა ერთი ფაზაც და მეორეც. დღეს ფსიხოლოგიას არავითარი სურვილი არა აქვს ან სული აღიაროს ფსიხოლოგიურ მოვლენების ქვაკუთხედად, ან მატერია. თანამედროვე ექსპერიმენტალურ ფსიხოლოგიას მხოლოდ თვით სულიერ მოვლენებთანა აქვს საქმე, ყველაფერს დანარჩენს კი იგი მეტაფიზიკის საკითხებათა სთვლის. „ფსიხოლოგია,—ამბობს გეფდინგი,—ისევე ვალდებული არ არის დაიწყოს იმის განმარტებიდან, თუ რა არის სული, როგორც ფიზიკამ იქიდან, თუ რა არის მატერია... ჩვენ მხოლოდ იმაზედა ვფიქრობთ, რომ მტკიცე ნიადაგი მოუპოვოთ ფსიხოლოგიას, როგორც მეცნიერებას, რომელიც ცდაზე ემყარება, და ნათლად გამოვყოთ ის, რაც ჭეშმარიტებად არის მიღებული, გიპოტეზებისაგან, რომლებითაც მხოლოდ იმიტომა ვსარგებლობთ, რომ ჩვენი ცოდნა მოვაწესრიგოთ და გასაგები გავხადოთ“.

„რადგანაც დღეს,—ამბობს მეორე გამოჩენილი მეცნიერი, ვუნდტი,—ფსიხოლოგია თავის მიზნად ისახავს სულიერ ცხოვრების დახატვას არა ზერელე განსაზოგადოებით, არამედ მის ყოველგვარ გამოხატულებათა ანალიზს რაც შეიძლება სწორე მეთოდების შემწეობით, ამიტომ იგი, რასაკვირველია, ვერ იხელმძღვანელებს ვერც ერთის განმარტებით სულისა, გარდა იმისა, **რომლის აზრითაც სული არის არც მეტი არც ნაკლები თვით სულიერ ფაქტებისა“.** *)

„ვუნდტის წარმოდგენით, სული არც „საგანია“ არც სუბსტანცია, არამედ არის მოქმედება, აქტივობა. სულის ამნაირ განმარტებას ვუნდტი უწოდებს აქტუალურს, წინააღმდეგ სულის სუბსტანციალურ განმარტებისა, რასაც აუცილებლად აღიარებენ, მხოლოდ თავისებურად, როგორც სპირიტუალიზმი ისე მატერიალიზმი“. **)

როგორც ვხედავთ, ამ ორ მეცნიერის აზრით, ფსიხოლოგიამ სამუდამოთ თავი უნდა დაანებოს იმის გამორკვევას, თუ რა არის სული, რა არის მატერია, თავი უნდა დაანებოს იმის გამორკვევას, თუ რა გვარი ურთიერთობა არსებობს სულსა და ხორცს შორის და მხოლოდ სულიერ ფაქტის ახსნას შეუდგეს. ***) აქედან, ფსიხოლოგიის მიზნის ამნაირ განმარტებიდან, რასაკვირველია, ლოღიკურად გამომდინარეობს ის დასკვნაც, რომ ფსიხოლოგიიდან უნდა განიდევნოს მატერიალიზმი და სპირიტუალიზმი, როგორც მეტაფიზიკური სისტემები. ასეთია დღევანდელი მდგომარეობა ფსიხოლოგიისა და თუ ჩვენში სჩნდებიან ისეთი პირები, რომლებიც მატერიალიზმს ესარჩლებიან, ეს უნდა აიხსნას განსაკუთრებით იმ გარემოებით, რომ ისინი მეცნიერებას ძალიან ჩამორჩენიან.

**არ. ჯ—შვილი.**

(დასასრული იქნება)

*) იხ. **Вундтъ: «Естествознаніе и психологія»**, გვ. 70.

**) იხ. Г. Гефдингъ: «Современная философія“, გვ. 20.

***) სულის მატერიალისტური და სპირიტუალისტური ახსნა ყოველთვის არ აკმაყოფილებდა ხოლმე ფსიხოლოგებს. ხშირად იბადებოდა სურვილი სულის ისეთის განმარტებისა, რომელიც არც ერთს უკიდურესობაში უნდა ჩავარდნილიყო და არც მეორეში. ბოლოს ფსიხოლოგიაში, რომელმაც ბოლო ხანებში ექსპერიმენტალური ხასიათი მიიღო, დაიბადა ისეთი განმარტება სულისა, რანაირსაც ვუნდტი გვაძლევს, აქტუალურ განმარტებას აძლევდა სულს ფიხტე. ეხლანდელ დროში კი მის დამცველებად, ვუნდტის გარდა, დ ნელი მეცნიერები სიგვარტი და გეფდინგი გამოდიან. ა. ჯ.

მეს და თავიანთ თავს ისევ ქართულ წრის წევრებად სთვლიდნენ. გამოხაფ-ხულდა და ორივე მხარე სამშობლოსა-კენ გაეშურა.

შემოდგომამ კვლავ ყველას იურიევში მოუყარა თავი. ილია ჭავჭავაძის ვერაგულმა მკვლელობამ ყველანი ააშფოთა და მათ შორის სტუდენტობაც. აქაურ ქართველ სტუდენტობას უნდოდა თავისი მწუხარება და გლოვა გამოეთქვა, მაგრამ დაინახა, რომ იგი გაფანტული იყო, რომ მისი ორგანო, სადაც ქართველების სახელით შეიძლებოდა ლაპარაკი და მსჯელობა, მისუსტებული და დავიწყებული იყო. ამ გარემოებამვე ნათელჰყო, რომ „ძალდამტანებლების ჯგუფში“ მოჰყვნენ ისეთნიც, რომელნიც ილიას გამოსალმებამ არ დაალონა და სამგლოვიარო დეპეშაში მონაწილეობა არ მიაღებინა. ეს ისეთი მომენტი იყო, რომელმაც ქართულ წრის მსურველთა გარშემო შემოჰკრიფა დიდძალი ქართველობა. აქედან განაახლა წრემ თავისი ცხოვრება და თავის დავიწყებულ სახელის და ქონების შეკრება. მაგრამ „ძალდამტანებლების ჯგუფი“ ისევ წინ გადაეღობა. წრის წევრებს არ უნდოდათ მოწინააღმდეგეებსავით ძალისთვის მიემართნათ, ამისათვის დანიშნეს კრება მთელ ქართველ სტუდენტებისა და გადასაწყვეტად დააყენეს: ვისია ძველ ქართულ წრის ქონება. მოწინააღმდეგე ჯგუფიც აქა ბრძანდებოდა. კრებამ ხმის უმეტესობით გადასწყვიტა: წინანდელ ქართულ წრის ქონება ეკუთვნის აწინდელ ქართულ წრესაო. როდესაც ქართულ წრის მომხრეებმა კითხვა პირდაპირ დააყენეს, რა საბუთებით თხოულობთ ქონებასაო, მოწინააღმდეგეებმა მიუგეს, ჩვენ კონტრაბანდით დაგტყუეთ ქონებაო (ეს ნამდვილი სიტყვებია მათი). მას შემდეგ განძრახებულნი ყოველგვარ ხრიკსა ხმარობენ.

მე მგონია, თუ საჭიროდ დაინახავს ქართული წრე, თავისას იტყვის, ახლა კი მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა კავკასიურ საზოგადოებაზე. ეს იდეა დიდი ხანია ტრიალებს ქართველ სტუდენტობის გულში და სასურველია მან ღრმად გაიდგას ფესვები, კავკასიური საზოგადოება აყვავდეს. მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მან, როგორც ჯგუფსა ჰგონია, ჩაყლაპოს Землячество-ები ან ნაციონალური დაწესებულებანი. ამ საზოგადოების და ქართული წრის არსებობა ერთმანეთს ხელს არ შეუშლის.

დანარჩენი საკითხები კორესპონდენტისა იმდენად ბავშურია, რომ ამაზე ლაპარაკს მეტად ვთვლი. ამისთანა ყმაწვილები, რა თქმა უნდა, მუდამ ფარულად მოქმედებენ და თავიანთ სახეს არ გვაჩვენებენ.

**გ. ჭიჭინაძე.**

## სამღვდელოების დეპუტატთა კრება

17 დეკემბერი

ამ დღეს ლაპარაკი იყო საეკლესიო კრებულის სახლების შესახებ—მრევლმა უნდა აამენოს, თუ ეკლესიის ფულით აიგოს. თავმჯდომარემ ოქროპირიძემ სთქვა, სახლები საეკლესიო ფულით უნდა აიგოსო. მღვდლებმა ღვთისავრიშვილმა და ათაევმა სთქვეს: უნდა დავავალოთ ძრევლს, უსათუოდ აგვიშენოს სახლებიო, ისინი ვალდებულნი არიანო. ათაევმა განაცხადა: აი როგორ ავაშენებიე სახლი მრევლს: როცა დავაწყებინე, ზოგმა უარი სთქვა. თუ ვისმეს რაიმე მღვდელმოქმედების ასრულება დასჭირდებოდა, უარს ვეუბნებოდი, სანამ სახლის ასაშენებელ ფულს არ მეიტანდა. ამან ვასჭრა და სახლი ამიშენოსო. ამათ მხარი დაუჭირეს მღ. ახალშენიშვილმა და მჭედლიშვილმა. თავმჯდომარემ წინადადება მისცა კრებას, სთხოვონ ექსარხოსს გაგზავნოს ეპარქიაში ეპისკოპოსები, რომ მათ დაარიგონ ხალხი და იქნებ აგვიშენონ სახლებიო. ბოლოს დაადგინეს აშენდეს საკრებულო სახლები ეკლესიის ფულით, სადაც მოიპოვება, და მთავრობას სთხოვოს ხე-ტყის მასალა მიეცეთ სახელმწიფო ტყეებიდან. მდივანმა წაიკითხა ოქმი დიაკვნების შესახებ—რომ მათ უნდა მიეცეთ მეოთხედი შემოსავლისა.

მღ. ხახიშვილი: გთხოვთ ოქმში შეიტანოთ მღ. ბარნაბიშვილის გუშინდელი სიტყვები: „გამოეცხადოთ მადლობა იმ მღვდლებს, რომელნიც ამდენ ხანს მესამედს აძლევდნენ შედავითნეებს“.

დეკ. თალაკვაძე: მეც ვითხოვ შეტანილ იქმნას ოქმში ის ნაკლი, რომელიც სჭირს ჩვენს კრებას, ე. ი. ჩვენ გადავსწყვიტეთ საკითხი, რომელიც შეეხება ჩვენს უმცროს ძმებს და იმათი წარმომადგენელი კი არ დასწრებია კრებას. რუსეთშიაც ხდება კრებები, მაგრამ იქ მედავითნეების წარმომადგენელნიც არიან. ჩვენი ძმებია და არ ვარგა ასეთი მოპყრობაო. მღ. ჯალაშვილმა თალაკვაძეს მხარი დაუჭირა.

თავმჯდომარემ დააყენა ახალი საკითხი საეპარქიო სასწავლებლის შესახებ: დახურულ იქმნას თუ არა პანსიონი და გახსნილ იქნას თუ არა მე-7 და 8 კლასები. მაგრამ მოულოდნელად წამოყენებულ იქნა საკითხი სლავიანურ ენის სწავლების გაუქმების შესახებ ამავე სასწავლებელში. კრებამ, რუსების გარდა, დაადგინა, გაუქმდეს სლავიანური ენა.

ამის შემდეგ დაასახელეს ახალი საკითხი—განაწილება სტიპენდიებისა. (სულ 41) ოლქების მიხედვით პროპორციონალურად. ამ საგნებზედ, ე. ი. პანსიონის გაუქმებაზედ, მე-7 კლასის გახსნაზედ და სტიპენდიების განაწილებაზედ ილაპარაკეს მთელი სამი საათი; ხან რა სთქვეს, ხან რა. ბოლოს გადასწყვიტეს, აირჩიონ კომისია. მან რევიზია უნდა მოახდინოს საეპარქიო სასწავლებელში, იქნება ამ კომისიამ რაიმე ნაირად შესაძლებლად სცნოს ხარჯების შემცირება და გადარჩენილ ფულით მე-7 კლასის გახსნა.

## თეატრი და ხელოვნება

—:—

**ო. აბელიანის იუბილეი.** 17 დეკემბერს სომხურ მასცენამ იდღესასწაულა ნიჭიერ არტისტის აბელიანის 25 წლის სცენაზე მოღვაწეობის იუბილეი. წარმოდგენა გაიმართა ტფ. სამარტისტო საზოგადოების თეატრში. წარმოადგინეს „მოჩვენების“ მესამე მოქმედება, აგარონიანის პიესის „ველის ცრემლის“ პირველი მოქმედება და „კრეჩინსკის ქორწინების“ 2 მოქმედება. მეორე მოქმედების შემდეგ აიხადა ფარდა და გამოჩნდა მშვენიერად მოწყობილი სცენა. სცენაზედ იდგნენ მსახიობნი და სხვა და სხვა დაწესებულების წარმომადგენელნი. იუბილიარი სცენაზე გამოიყვანა მხცოვანმა დრამატურგმა გ. სუნდუკიანცმა. მთელი სცენა და დარბაზი ტაშის ცემით მიეგება აბელიანს. წარმოსთქვეს სიტყვები და მიულოცეს იუბილიარს 25 წლის სასცენო მოღვაწეობა. წაიკითხეს ადრესები სომხურ დრამატიულ საზოგადოების თავმჯდომარემ ბ-ნ ჯაბარმა, ქართულ დასის მხრივ ტ. აბაშიძემ, რუსულმა დასმა, ქართულ და სომხურ სცენის მოყვარეებმა, „ტფილისის საკრებულომ“, სომხურმა საქველმოქმედო საზოგ. და სხვებმა. წაიკითხეს ზოგიერთი მილოცვის დეპეშა. დეპეშა ასამდე იყო სხვა და სხვა ქალაქიდან. იუბილიარმა დამსწრეთ მადლობა გადაუხადა, სიტყვით მიმართა რუსულ სცენის მოღვაწეთა წარმომადგენელს და აღნიშნა, რომ რუსულ დასის წყალობით გამოველ სასცენო ასპარეზზეო. შემდეგ ხალხს მიმართა და, სხვათა შორის, სთქვა, ბედნიერი ვიქნები, თუ სომხობა დრამატიულ ხელოვნებას საკუთარს ტაძრს აუშენებს და მით ხელს შეუწყობს სომეხთა წინსვლასაო. ეს სიტყვა ტაშის ცემით დააჯილდოვეს.

# რუსეთი

—:—

**✦ დუელი.** რამდენიმე დღის წინად ცნობილმა მენშიკოვმა „ნოვოე ვრემიაში“ წერილი დაბეჭდა შესახებ პორტ-არტურელ გენერლებისა, რომელთა საქმე სასამართლოში ირჩევა ამ ჟამად, და ერთ გენერალს, ფოკს ებრალი და სამშობლოს მოღალატე უწოდა. ფოკმა მენშიკოვი დუელში გამოიწვია. მენშიკოვი დუელში არ გაჰყვა და გაზეთის საშუალებით ბოდიში მოიხადა ფოკი თურმე ამით არ დაკმაყოფილებულა და მენშიკოვს ცემას უპირებს.

**✦ ტერორისტების დაპატიმრება.** ამას წინათ პეტერბურგის საიდუმლო პოლიციამ გაჩხრიკა რედაქცია „სოვრ. სლოვო“ და დააპატიმრა მრავალი ხალხი. გარდა ამისა მან დეკემბრის დამდეგს აღმოაჩინა რევოლიუციონერთა ბუდე. რამდენიმე დღის შემდეგ მან ოფიციალურად გამოაცხადა, რომ პოლიციამ აღმოაჩინა ერთი სარევოლიუციო ორგანიზაცია, რომელსაც განზრახული ჰქონდა უმაღლეს მოხელეთა დახოცვაო. ეხლა გამოირკვა, რომ ამ ორგანიზაციას უნდოდა სახელმწიფო საბჭოში შეეგზავნა რამდენიმე ტერორისტი, რომელთაც იქ უნდა მოეხდინათ უდიდესი სარევოლიუციო აქტი. ორგანიზაციას შეუდგენია ყალბი კორესპონდენტის ბილეთი სახელმწიფო საბჭოში შესასვლელად. პოლიციამ დროზე გაიგო ყველაფერი, მთელი საქმე დაწვრილებით გაიგო და მთელი ორგანიზაცია დააპატიმრა.

**✦ ქურდობა ჭეშმარიტ რუსთა კავშირის სადგომში.** პეტერბურგში, ჭეშმარიტ რუსთა კავშირის მთავარ გამგეობის ბინაზე ამას წინად დაიკარგა იმ ყუთების გასაღები, სადაც ინახებოდა მთელი მიწერ-მოწერა და საბუთები კავშირისა. დიდი ჩოჩქოლი ასტყდა. ბოლოს, როგორც იყო, გასაღები იპოვეს, მაგრამ იმ ყუთის გასაღები მაინც არ სჩანდა, სადაც საიდუმლო საბუთის ქაღალდები და მიწერ-მოწერა იყო შენახული. ყუთი გასტეხეს, მაგრამ ქაღალდები არსად იყო. შეადგინეს ოქმი, მაგრამ ქურდი მაინც ვერ იპოვეს. ჭეშმარიტნი საქვეყნოდ აცხადებენ, რომ ქაღალდები პურიშკევიჩმა მოიპარა, რადგან მას დუბროვინთან და მთელ კავშირთან უსიამოვნება მოუვიდაო. ამ რიგად, პურიშკევიჩმა ხელთ იგდო ისეთი მასალა, რომ ამიერიდან მის წინააღმდეგ ვერც ერთი ჭეშმარი ვერ გაბედავს გალაშქრებას, ვინაიდან პურიშკევიჩი წამ-დაუწუმ იმუქრება ხოლმე: „გაჩუმდით, თორემ ყველაფერს ვიტყვიო“.

**✦ პოლონეთში.** ვარშავის ჭეშმარიტ რუსთა კავშირმა განიზრახა პოლონეთის გაბედნიერება და შეუდგა პოლონეთის თვითმართველობის კანონ-პროექტის შემუშავება. ეს კანონ-პროექტი გაეგზავნება მათ დეპუტატს ჭეშმარიტ რუს ალექსეევს სათათბიროში. გარდა ამისა, იგივე კავშირი აგროვებს მასალას შესახებ „პოლონეთის მატიცისა“, ეს მასალაც დეპუტატს ეგზავნება.

სანამ „მატიცას“ მიჰკეტავდნენ, პოლონეთის გენ.-გუბერნატორი შეეკითხა გუბერნატორებს, რა აზრისა ხართ თქვენ ამ საზოგადოების შესახებაო. გუბერნატორებმა ასეთი პასუხი მისცეს: რადგან „მატიცა“ საოცარის სისწრაფით იზრდება, რადგან მან ერ ივნული ხასიათი მიიღო და მთელი პოლონეთი გარტაცა, ამიტომ მისი არსებობა სახელმწიფოსთვის სახიფათოდ მიგვაჩნიაო. გარდა ამისა გუბერნატორემა ის აზრიც გამოსთქვეს, რომ საერთო წესი კავშირებისა და საზოგადოებათა შესახებ პოლონეთისთვის შეუფერებელია და ამიტომ საჭიროა მისთვის განსაკუთრებული კანონები გამოიცესო.

**✦ გენ. დუმბაძე.** რუსეთის გაზეთების სიტყვით, ცნობილ გენ. დუმბაძეს ნიშნავენ მოსკოვის გრადონაჩალნიკად ნაცვლად რეინბოტისა, რომელმაც ამ დღეებში სამსახურს თავი დაანება.

**✦ ვინაობა ჩამოხრჩობილისა.** ამას წინათ პეტერბურგში დაიკარგა ვინმე ქნეინა მეშჩერსკაია. ეხლა რუსეთის გაზეთები იწერებიან, რომ ის ქალი, რომელმაც ამას წინათ ყუმბარა ესროლა მოსკოვის გენ.-გუბერნატორს გერშელმანს და რომელიც ორი დღის შემდეგ ჩამოახრჩვეს, დაკარგული მეშჩერსკაია ყოფილა.

## წერილი რედაქციის მიმართ

გაუწყებთ, რომ ადმინისტრატიულის წესით დუშეთიდან ქ. ბელებეიში (უფის გუბერნიაში) გადმოსახლებული მედიტონ მეძაძე უეცრად გარდაიცვალა აბანოში „უგარით“, როგორც ექიმებმა შეამოწმეს, უმთავრესი მიზეზი მისი გარდაცვალებისა კი სიცივე და ნახევრად შიმშილი იყო. აქ გადმოსახლებულნი დიდს გაჭირვებაში ვართ და არა ერთხელ მივმართეთ საზოგადოებას, დახმარება გაუწია, მაგრამ ყოველივემ უქმად ჩაგვიარა. ერთი ამხანაგთაგანი, მედძისა კარაპეტოვიც ან დღეს ან ხვალ ცივს სამარეში სამუდამოდ განისვენებს. კარაპეტოვს ტანსაცმელი, თეთრეულობის მეტი არა გააჩნდა რა, რამაც ფილტვების ანთება უძღვნა. დასარჩენებს რა მოგვეღის, არ ვიცით.

**ა. ნ. ჩიხლაძე.**

ვთხოვ სხვა გაზეთებს და მათ შორის სომხურს, გადაბეჭდონ ეს წერილი.

—

უმორჩილესად გთხოვთ ნება მოგვცეთ თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით წელსაც კიდევ მოვაგონოთ ხარკოვში კურს დამთავრებულ სტუდენტებს შესახებ მათის ვალისა ხარკოვის ქართველ სტუდენტთა წრისადმი. შარშანდელმა ჩვენმა წერილმა ბევრს გაახსენა ის დრო, როდესაც შევიწროვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილნი არა ერთხელ მიუმართავთ წრის სალაროსადმი ხელის მოსაცემლად, ბევრმა მათგანმა გამოგვიგზავნა თუ მთლად არა, ნაწილი მაინც ვალისა და მით დიდი დახმარება აღმოუჩინეს ჩვენ წრეს. წელს ქართველ მოსწავლეთა რიცხვმა თითქმის ორჯერ იმატა. მათი შევიწროვებული მდგომარეობა თხოულობს არა თუ ვალების დაბრუნებას ჩვენი წრის ყოფილ წევრებისაგან, არამედ განსაკუთრებულ დახმარებასაც მთელ ქართველ საზოგადოებისას.

ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი წრის მოვალეები, ყურადღებას მიაქცევენ ამ წერილს და წელსაც ისე, როგორც შარშან, მოგვცემენ საშუალებას დავაკმაყოფილოთ უსაჭიროესი მოთხოვნილებანი ღარიბ ქართველ სტუდენტებისა.

წრის მინდობილობით **ხტ. გ. ძ-ძე.**

ადრესი: Харьковъ. студ.-техн. К. Дзнеладзе

P S ვთხოვთ სხვა გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

რედაქტორ-გამომცემელი

**ე. ბვალიაშვილი.**


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო

## დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**დ ი ლ ი თ:**

**ა. ა. ნავასარდიანი;** 11—12 ს ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**ე. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ე. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გმელაშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. ი. გარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. შმერლინგი:** 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი:** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ა. ი. გრიგორიანი:** 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ა. ა. ნავასარდიანი.**

(ხალ.—180)

## ხიმშიაშვილის და [illegible]

მამულში [illegible] იყიდება მიწერ[illegible] ნაკრებობა 24, 40 და 70 კაპ. საქენი წლის გადახდის ვადით.

სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურის სახლი, **№ 153. მაჭავარიანი, გელოვანი.**

(10—438—10)

გამოვიდა და დარიგდა გასასყიდად შილერის თხზულება

## ფერხული

ათი დიალოგი, ავტორის სურათით, თარგმანი ია ეკალაძე-ცინცაძისა.

წიგნი იყიდება: ტფილისში წერა-კითხვის მაღაზიაში (და ზოგიერთა სხვა მაღაზიაშიაც); ბაქოში—რევაზ ფაღლენიშვილთან; გორში—არჩუაძესთან; ჭიათურაში—დეკანოზიშვილთან; ქუთაისში—წიგნის მაღაზია „იმერეთ“-ში.

ვთხოვთ ფოთისა და ბათუმის წიგნის მაღაზიებს, მიჰმართონ „იმერეთი“-ს მაღაზიაში კვიცარიძეს. სხვა ადგილებიდან უნდა მიჰმართონ წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიას ან კიროჩნი ქუჩაზედ (№ 11) ს. ბერძნიშვილს ვინც ას ცალს ნაღდად იყიდის, 30% დაეთმობა; კამისიით 20%. თითო წიგნი ღირს 30 კაპეიკად.

(0—6.—20)

✦ МАГАЗИНЪ ✦

## „КОМПОЗИЦІЯ“

Тифлисъ, Пушкинскій пассажъ, № 8.



**Громадная экономія** щведскаго композиціон. бѣлья.

✦ **Носится не менѣе двухъ лѣтъ.** ✦

Постоянный большой выборъ Свѣжаго товара ВОРОТНИКОВЪ, МАНИШЕКЪ и МАНЖЕТЪ.

Единственный представитель для Баку, Тифлиса и ихъ окрестностей.

**ПО ФАБРИЧН. ЦѢНАМЪ**

Передѣлка въ любой фасонъ безплатно.

**Просятъ не смѣшивать появившіеся въ продажѣ бѣлья изъ поддѣльной композиціи.**

Отдѣленіе въ Баку, Кривая ул. противъ фотог. Зелинскаго.

(15—)10

მიიღება ხელის მოწერა **1908** წ. საყმაწვილო სურათებიან ჟურნალზე:

## „ნაკადული“

(**წელიწადი მეოთხე**)

**1908** წელს წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ.

24 წიგნი «ნაკადული» მცირე წლოვანთათვის; ✦ 36 სურათი ცნობილ მხატვრებისა
12 წიგნი «ნაკადული» მოზრდილთათვის; ✦

**დ ა ო რ ი პ რ ე მ ი ა:**

1. კალენდარი ცნობილ მწერალთა სურათებიან დია წერილებით.
2. „პატარა მაწანწალა“ გრინვუდისა.

**წლიურად ორივე გამოცემა ღირს 5 მან.**

ნახევარის წლით 2 მან. და 50 კაპ. ცალ-ცალკე 3 მანეთი

ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: ამ თავით—2 მან. 50 კაპ., მაისში—დანარჩენი. რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Головинскій пр. редал. дѣт. жур. „НАКАДУЛИ“.

**რედაქტორი მ. დემურია.** **გამომცემელი თ. პავ. იოხ. თუმანიშვილი.**

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების მაღაზიაში (თავად-აზნაურ. ქარვ.).

(5—3)

ჟურნალ-გაზეთების და წიგნების აგენტურა ამხ. „სორაპანისა“ ქალ. ტფილისში.

აგენტურამ დაიწყო მოქმედება 10 დეკემბრიდან. ღებულობს და ყიდულობს ყოველ გვარ ჟურნალ-გაზეთებს და სხვა და სხვა ბეჭვდითი სიტყვის ნაწარმოებს, როგორც საკომისიოდ ვადით და უვადოთ, ისე **ნაღდ ფულზედ**

**ამხ. «სორაპანს» ჰყავს აგენტები შემდეგ ადგილებში:**

1) გორში—არჩვაძე და მაისურაძე.
2) მიხაილოვში—ა. ებანოიძე.
3) ჭიათურაში—ი. ცერცვაძე.
4) ყვირილაში—საკ. მაღაზ. „სორაპ.“ ამხ.
5) ქუთაისში—ი. კვიცარიძე.
6) სამტრედიაში—ე. კოხრეიძე.
7) ფოთში—ი. კოხრეიძე.
8) ბათომში—ს. ფარცხელაშვილი.
9) ოზურგეთში—ი. ღლონტი.
10) ლანჩხუთში—შ. ცინცაძე.
11) ჩოხატაურში— . . .
12) სოხუმში—ი. მგელაძე.
13) თელავში—დ. გამყრელიძე.
14) სიღნაღში— . . . .

საქმის სიმტკიცისათვის აგენტებს ამხ. „სორაპნის“ გამგეობის კანტორაში წარმოდგენილი აქვთ ბე (ზალოგი). თვით ამხანაგობა კი დაარსებულია 1906 წელს, რომლის ძირითადი თანხა 15,000 მანეთს შეიცავს. ამ თანხის გარდა ამხანაგობის დამაარსებელნი ყოველ შემთხვევისათვის პასუხის მგებელნი არიან თავის კერძო ქონებიდან 12,000 მანეთით. ამ რიგად ამხ. „სორაპანი“ ყოველ შემთხვევისათვის მზად არის თავისი ქონებით პასუხი გასცეს ყოველ გვარ მოთხოვნილებას და პირნათლად შეასრულოს თავისი ვალდებულება.

ამხანაგობის კანტორა მოთავსებულია მადათოვის კუნძულზე, სახლი № 6. ფოსტის და დეპეშის ადრესი: Тифлисъ, Товарищество „Сорапань“.

(10—6.—2)

გამგე ამხ. **მ. გაჩეჩილაძე.**